სახელმწიფოშესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

№211

ქ. თბილისი 22 აგვისტო 2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ლევან დავითაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ორიენტ ლოჯიკი" (შემსგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი), ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 20 აგვისტოს №1090 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „საქონელი" - ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა: რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები) რთველის მიმდინარეობის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის უზრუნველსაყოფად დანართი №1–ით გათვალისწინებული ლაზერული პრინტერის შესყიდვა (კლასიფიკატორის CPV- 30232110 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ვადები:2013 წლის 22 აგვისტო.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის № 3, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 8820 (რვაათასრვაასოცი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელსაც უფლება აქვს არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხარისხი

6.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება საგარანტიო პერიოდი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 წლის ვადით. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის აღმოხვრა და გამოსწორება.

6.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის ბრალეული მიზეზების გარეშე, წარმოშობილი ტექნიკური ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას მომწოდებლის მიერ უსასყიდლოდ. საგარანტიო მომსახურება უნდა განხორციელდეს ადგილზე ან კომპანიის სერვისცენტრში. წუნდებული პროდუქტის შეცვლა/შეკეთება მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს ხარვეზის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში. საქონლის ცენტრში წაღებას, ასევე შეცვლილი/შეკეთებული საქონლის უკან დაბრუნებას განახორციელებს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით.

6.4 თუ საგარანტიო პერიოდში ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ საქონლის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო საქონლის (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) საქონლის ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10. თუ ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% (ათ პროცენტს), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 22 აგვისტოდან და მოქმედებს 2013 წლის 31

დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო	შპს „ორიენტ ლოჯიკი”
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	კომერციული დირექტორი
ლევან დავითაშვილი	ალან სანაკოევი
ს/კ 204446965 **იურიდ. მის:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. **ფაქტ. მის:** ქ. თბილისი, დ. გამრეკელი №3 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ. 220101222; ა/ა 200122900** **ტელ.:** 2378052	ს/კ 202052054 **იურიდ. მის.:** აღმაშენებლის გამზ. №91ა. **ფაქტ. მის.:** ქ.თბილისი , ბელიაშვილის ქ. №8. **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ბაზის ბანკი”. ბ.კ CBASGE22 ა/ა GE96 BS00 0000 0005 9368 72 **ტელ.:** 254 18 18
ლევან დავითაშვილი	ალან სანაკოევი

დანართი №1

№	დასახელება	ტექნიკური მონაცემები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
1	ლაზერული პრინტერი USB კაბელით	hp LaserJet P1102 printer/A4, 18ppm, fpo: 9sec; 1200dpi; 5,000 p/month; /Paper input: 150 sh, output: 100 sheets paper tray; 2MB RAM; /Connectivity: USB 2.0/Cartridges CE285A Ultraprecise print cartridge, 1,600 pages, 5% coverage, Printer USB Cable	ცალი	45	196.00	8820.00

<u>შემსყიდველი</u> <u>მიმწოდებელი</u>

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ლევან დავითაშვილი

ს/კ 204446965

იურიდ. მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6.

ფაქტ. მის: ქ. თბილისი, დ. გამრეკელი №3

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი

ბ.კ. 220101222; ა/ა 200122900

ტელ.: 2378052

ლევან დავითაშვილი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"

კომერციული დირექტორი

ალან სანაკოევი

ს/კ 202052054

იურიდ. მის.: აღმაშენებლის გამზ. №91ა.

ფაქტ. მის.: ქ.თბილისი , ბელიაშვილის ქ. №8.

საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი".

ბ.კ CBASGE22

ა/ა GE96 BS00 0000 0005 9368 72

ტელ.: 254 18 18

ალან სანაკოევი